

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ ვ ა მ ტ კ ი ც ე პ ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი

ზურაბ ზუცხრიკიძე

„ 26 “ 12 ----- “ 2014 წელი

ეგზ. № 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების

ფინანსური აუდიტის ანგარიში *აშ 58/00*

2014 წელი

შინაარსი

აუდიტის მიზანი	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	4
გარდაბნის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა.....	5
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:	6
მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი.....	7
1. ბუღალტრული ბალანსები და მისი დანართები	7
2. სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა.....	9
3. ძირითადი კაპიტალის მოხმარება.....	10
4. ინვენტარიზაცია	11
აუდიტის დასკვნა	13
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	13
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	13

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2012-2013 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა.

აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2012-2013 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტი ვალდებულია, უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული არღიხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ

არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI), რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას;

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედეგანამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებითი უზუსტობების რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;


- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;
- ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას;
- სხვა დამატებით პროცედურებს, რომელიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა

გარდაბნის მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის,¹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ბიუჯეტების შემოსულობებმა შეადგინა 30 202.5 ათასი ლარი², რომლის 96.9 %-ს შეადგენს შემოსავლები, 3.1 % არაფინანსური აქტივების კლება, შემოსავლები მიღებულია შემდეგი წყაროებიდან:

(ათასი ლარი)



¹ აღნიშნული კანონი მოქმედებდა აუდიტის პერიოდში, ხოლო 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მოქმედებს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

² 2012 წელი - 18632.1 ათასი ლარი, 2013 წელი - 11570.4 ათასი ლარი

2012-2013 წლებში გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გრანტები ნაწილდება შემდეგნაირად:

- ✓ გათანაბრებითი ტრანსფერი 5544.0 ათასი ლარი
- ✓ მიზნობრივი ტრანსფერი 502.7 ათასი ლარი
- ✓ სპეციალური ტრანსფერი 6569.4 ათასი ლარი

2012-2013 წლებში ბიუჯეტების გადასახდელებმა შეადგინა 32 113.0 ათასი ლარი. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით გადასახდელების 64.8 %-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 34.3% არაფინანსური აქტივების ზრდა, ხოლო ვალდებულებების კლება - 0,9%

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- საბიუჯეტო პროცესის განხორციელება (საბიუჯეტო ურთიერთობა და პასუხისმგებლობა);
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია;
- მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველი პირების აღრიცხვა და სხვ.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

1. ბუღალტრული ბალანსები და მისი დანართები

1.1. გარემოება

კრიტერიუმი

გარდაბნის მუნიციპალიტეტი ვალდებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364³ ბრძანების შესაბამისად მოამზადოს პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგებები, სადაც აისახება ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

არსებული მდგომარეობა

გარდაბნის მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად არ ადგენენ პერიოდულ და წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ 2007 წლიდან მუნიციპალიტეტში არ არის ნაწარმოები ბუღალტრული აღრიცხვა: ანალიზური და სინთეზური აღრიცხვის დოკუმენტები, ბრუნვათა უწყისები, მთავარი წიგნი. არ არის შედგენილი ორგანიზაციული ბალანსები. არ არის აღრიცხული დებიტორები და კრედიტორები, არ არსებობს ქონების ჩამონათვალი (საინვენტარიზაციო უწყისები) და სხვა.

გავლენა

მუნიციპალიტეტის გამგეობის ზემდგომ ორგანოს და ფინანსური ანგარიშგების სხვა შიდა და გარე მომხმარებლებს, არ წარედგინება ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ფინანსური მდგომარეობის, არაფინანსური აქტივების

³საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“

მიღება-გასავლის, მატერიალური მარაგების მდგომარეობის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და სხვა ეკონომიკური ნაკადების შესახებ. აღნიშნულის შედეგად არ ხდება ზემდგომი ორგანოს მიერ წლიური ფინანსური შედეგების განხილვა, გაანალიზება და შესაბამისი შეფასება. სხვა დაინტერესებულ მხარეებს არ ეძლევა საშუალება გაეცნოს მუნიციპალიტეტის მიერ მიღწეულ ფინანსურ შედეგებს, არ ხდება შიდა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება.

1.2. გარემოება

კრიტერიუმი

ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებს ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება ევალებათ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

არსებული მდგომარეობა

მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ინსტრუქცია აუდიტის ობიექტს გამოყენებული არ აქვს. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვისას ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნები და ანგარიშთა გეგმით განსაზღვრული ბუღალტრული გატარებები არ არის ნაწარმოები: შემოსავლებზე, ფინანსური და არაფინანსური აქტივების ოპერაციებზე, დებიტორ-კრედიტორების, ვალდებულებების, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებზე.

გავლენა

საბუღალტრო აღრიცხვის ინსტრუქციის გამოუყენებლობის გამო არ არის აღრიცხული ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საფინანსო-სამეურნეო ოპერაციები, რაც გავლენას ახდენს ისეთ საკითხებზე როგორიცაა:

- ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა;
- ეკონომიკური მოვლენების დროულად აღრიცხვა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დოკუმენტების გაფორმება;

- ბიუჯეტიდან მიღებული და კანონმდებლობით განსაზღვრული დაფინანსების აღრიცხვა;
- იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან სამეურნეო ოპერაციების შედეგად ანგარიშსწორების სრული და დროული აღრიცხვა;
- არაფინანსური და ფინანსური აქტივებისა (ვალდებულებების), სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებების და ინვენტარიზაციის შედეგების აღრიცხვა.
- ხარჯების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებისა და ანგარიშთა გეგმის მიხედვით აღრიცხვა.
- ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის დარიცხვა და აღრიცხვა.
- სხვა ეკონომიკური ნაკადების და არასაოპერაციო შემოსავლების/ხარჯების აღრიცხვა.
- წმინდა ღირებულებისა და საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა.
- საცნობარო მუხლების გახსნა და აღრიცხვა.

2. სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა

2.1. გარემოება

კრიტერიუმი

„ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის⁴ შესაბამისად საბიუჯეტო ორგანიზაციები ვალდებული არიან ფინანსური ოპერაციების აღრიცხვისას აწარმოონ სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა.

არსებული მდგომარეობა

გარდაბნის მუნიციპალიტეტში ფინანსური ოპერაციების აღსარიცხავად სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა (მემორიალური ორდერები, მთავარი წიგნი)

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებს ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია.

ნაწარმოები არ არის. უფრო მეტიც, ბუღალტრული დოკუმენტები აუკუნძავი (აწყვია „ბაინდერებში“), დაუნომრავი და დაულაგებელია წლების მიხედვით.

გავლენა

სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის გამოუყენებლობა გავლენას ახდენს სამეურნეო ოპერაციების შედეგად გაფორმებული დოკუმენტების საიმედოობაზე, მათი ქრონოლოგიურად დალაგების სიზუსტეზე და სრულ აღრიცხვაზე, ასევე გავლენას ახდენს მათ საფუძველზე შესადგენ მემორიალური ორდერების მონაცემების უტყუარობაზე, რაც თავის მხრივ იწვევს მთავარი წიგნის და ბრუნვათა უწყისის არასწორ წარმოებას.

3. ძირითადი კაპიტალის მოხმარება

3.1. გარემოება

კრიტერიუმი

საბიუჯეტო ორგანიზაციები ვალდებული არიან არაფინანსური აქტივების სასიცოცხლო ციკლის პერიოდში მათი საბალანსო ღირებულებით აღრიცხვის მიზნით, ბალანსზე რიცხულ აქტივებს დაარიცხონ ცვეთის ხარჯი საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანებით⁵ განსაზღვრული ნორმების შესაბამისად.

არსებული მდგომარეობა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ აქტივებს, მათი ექსპლოატაციაში მიღების პერიოდიდან დღემდე ცვეთის ხარჯი არ დარიცხვია, შესაბამისად არაფინანსური აქტივების რეალური (ნარჩენი) ღირებულების განსაზღვრა შეუძლებელია.

გავლენა

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანება „ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე”

გრძელვადიან სააღრიცხვო პერიოდში, ექსპლოატაციაში მყოფი არაფინანსური აქტივები ფიზიკური ცვეთის გათვალისწინების გარეშე, ანუ მათი პირვანდელი ღირებულებით, არასწორად ასახავს აქტივების რეალურ ღირებულებას. გამომდინარე აღნიშნულიდან, მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ინფორმაცია მის საკუთრებაში არსებული აქტივების რეალური (საბალანსო) ღირებულების შესახებ. ასევე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საანგარიშო წლის ბოლოს ძირითადი აქტივის ფიზიკური ცვეთა აღიარდება ხარჯად და აისახება ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ანგარიშის დებეტსა და ძირითადი აქტივების შესაბამისი ანგარიშის კრედიტში. აღნიშნული წესის გამოუყენებლობით ორგანიზაცია, წლიური ფინანსური შედეგების გაანგარიშებისას არ ითვალისწინებს წლის განმავლობაში გაწეულ არაფულად (ცვეთის) ხარჯს.

4. ინვენტარიზაცია

4.1. გარემოება

კრიტერიუმი

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალი №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ მიხედვით, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაცია ვალდებულია მოახდინოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აღნიშნული

ბრძანებით, აქტივების სხვადასხვა ჯგუფებისთვის განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდებული ვადები. კერძოდ:

- ✓ ძირითადი აქტივების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ სტრატეგიული მარაგების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ნედლეულის და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;
- ✓ მატერიალური მარაგების – წელიწადში ერთხელ მაინც, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების – კვარტალში ერთხელ მაინც;
- ✓ საწვავის – ყოველთვიურად;
- ✓ ფასეულობების – წელიწადში ერთხელ მაინც, საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ნოემბრისა;
- ✓ ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების – წელიწადში ორჯერ მაინც.

არსებული მდგომარეობა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 5 აგვისტოს N113 განკარგულებით შექმნილია ქონების საინვენტარიზაციო დროებითი კომისია 47 კაცის შემადგენლობით⁶. განკარგულებაში არაფერია ნათქვამი თუ რა დავებულა კომისიას, რა პერიოდში, რა აქტივების თუ პასივების ინვენტარიზაცია უნდა მოეხდინათ. კომისიის წევრების განმარტებით ინვენტარიზაციის აქტი შედგენილი არ იქნა და არც ინვენტარიზაციის შედეგებია გამოყვანილი.

ამდენად გარდაბნის მუნიციპალიტეტში მათ საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული ქონების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, არ არის შედგენილი

⁶ კომისიის შემადგენლობაში საკრებულოსა და გამგეობის თანამშრომლების გარდა შეყვანილია ა(ა)იპ-ების წარმომადგენლები

ინვენტარიზაციის აქტი, რომელიც შეუდარებოდა საბუღალტრო მონაცემებს და გამოყვანილი იქნებოდა ქონების მეტობა ან ნაკლებობა.

გავლენა

იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტი არ ანხორციელებს ინვენტარიზაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, არსებობს მაღალი რისკი იმის, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები და არ მოხდეს შესაბამისი რეაგირება.

აუდიტის დასკვნა

აუდიტის ობიექტის ფინანსური საქმიანობა შეფასდა არადადამაკმაყოფილებლად. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა ფინანსური ანგარიშგება, არ არის ნაწარმოები ბუღალტრული აღრიცხვა: ანალიზური და სინთეზური აღრიცხვის დოკუმენტები, ბრუნვათა უწყისები, მთავარი წიგნი, რის გამოც მასშტაბის შეზღუდვის გავლენა აუდიტზე არსებითი და ყოვლისმომცველია. აუდიტის ჯგუფმა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები აუდიტის ობიექტზე ვერ მოიპოვა, რის გამოც გამოთქვამს მოსაზრებას „უარი დასკვნის გაცემაზე“.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წამყვანი აუდიტორი:

გიორგი ჩახვაძე



ხელმოწერა 24.12.2014 თარიღი

წამყვანი აუდიტორი:

ზურაბ ქათამაძე



ხელმოწერა 24.12.2014 თარიღი

აუდიტორი:

ლალი ამბროლაძე



ხელმოწერა 24.12.2014 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

სოფიო ბელთაძე



ხელმოწერა 24.12.2014 თარიღი